




ანალიტიკური დეპარტამენტი

2013 წლის ანგარიში

 საქართველოს
იუსტიციის
სამინისტრო

სარჩევი

1. დეპარტამენტის შესახებ.....	4
1.1. ანალიტიკური დეპარტამენტის თანამშრომლები.....	6
2. 2013 წლის მნიშვნელოვანი მიმართულებები	7
2.1. კანონპროექტები.....	7
2.1.1. სისხლის სამართლის კოდექსის გადასინჯვა.....	7
2.1.2. ცვლილებები სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში	8
2.1.3. არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსი.....	8
2.1.4. შრომის კანონმდებლობის რეფორმა.....	8
2.1.5. მამხილებელთა დაცვა	9
2.1.6. ინფორმაციის თავისუფლების მარეგულირებელი კანონმდებლობა	9
2.1.7. საჯარო ინფორმაციის პროაქტიულად გამოქვეყნება	10
2.2. სტრატეგიები და სამოქმედო გეგმები.....	10
2.2.1. სისხლის სამართლის მართლმსაჯულების რეფორმა	10
2.2.2. კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის 2014-2016 წლების სტრატეგიული პრიორიტეტები.....	11
2.2.3. ღია მმართველობის პარტნიორობა.....	12
2.3. უწყებათაშორისი კოორდინაცია	14
2.3.1. სისხლის სამართლის მართლმსაჯულების რეფორმის საბჭოს ადმინისტრირება.....	14
2.3.2. ანტიკორუფციული საბჭოს ადმინისტრირება.....	15
2.4. სისხლის სამართლის სისტემის რეფორმის საბუჯეტო დახმარების პროგრამა	16
საქართველო-ევროკავშირის ფინანსური შეთანხმება	16
2.5. ვიზა ლიბერალიზაცია	16
2.6. სოციოლოგიური მიმართულებები.....	17
2.6.1. დანაშაულისა და უსაფრთხოების კვლევა.....	17
2.6.2. მონაცემთა ღიაობის ინდექსი	17
2.7. პროგრამები და პროექტები	18
2.7.1. კვლევითი პრაქტიკა	18
2.7.2. ანტიკორუფციული საბჭოს სხდომის მოდელირება.....	18

2.8. საზოგადოებასთან ურთიერთობა, პრეზენტაციები საერთაშორისო დელეგაციებისთვის	19
3. სამართლებრივი და სოციოლოგიური კვლევა და ანალიზი.....	19
4. საერთაშორისო ორგანიზაციებთან თანამშრომლობა/წარმომადგენლობა და ანგარიშგება .	20
4.1. ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაცია (OECD)	20
4.2. სახელმწიფოთა ჯგუფი კორუფციის წინააღმდეგ (GRECO)	21
4.3. სხვა საერთაშორისო ორგანიზაციების ანგარიშები და კითხვარები.....	21
4.4. შიდა ანგარიშები.....	21
5. ღონისძიებები და შეხვედრები	22
6. საერთაშორისო წარმომადგენლობა და ვიზიტები.....	24
7. სხვა აქტივობები	25
8. სამომავლო გეგმები.....	26
დანართი	28

1. დეპარტამენტის შესახებ

საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ანალიტიკური დეპარტამენტის ძირითადი ამოცანებია:

ა) სისხლის სამართლის პოლიტიკის განსაზღვრის მიზნით იუსტიციის მინისტრისათვის რეკომენდაციების მომზადება და წარდგენა, სისხლის სამართლის მატერიალური და საპროცესო კანონმდებლობის, განახლებისა და დახვეწის მიზნით რეკომენდაციებისა და წინადადებების მომზადება და კანონპროექტების შემუშავება;

ბ) არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების სფეროს განვითარების მიზნით რეკომენდაციებისა და წინადადებების მომზადება და კანონპროექტების შემუშავება;

გ) სხვადასხვა პრიორიტეტული მიმართულებების რეფორმის გატარების მიზნით რეკომენდაციებისა და წინადადებების მომზადება და კანონპროექტების შემუშავება;

დ) კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის უწყებათაშორისი საკოორდინაციო საბჭოსა და სისხლის სამართლის სისტემის რეფორმის განმახორციელებელი უწყებათაშორისი საკოორდინაციო საბჭოს სამდივნოების ფუნქციების განხორციელება, აღნიშნული საბჭოებისა და მათ ფარგლებში შექმნილი სამუშაო ჯგუფების საქმიანობის ხელშეწყობა, ანალიტიკური და ორგანიზაციული მხარდაჭერა. ცალკეული სამუშაო ჯგუფის მომხსენებლის ფუნქციების შესრულება, თემატური სტრატეგიებისა და სამოქმედო გეგმების შემუშავება, მათი შესრულების მონიტორინგი და პერიოდული ანგარიშების მომზადება;

ე) ღია მმართველობის პარტნიორობის კოორდინირება ეროვნულ დონეზე და საერთაშორისო წარმომადგენლობა, ღია მმართველობის პარტნიორობის სამოქმედო გეგმის შემუშავება, შესრულების მონიტორინგი და ანგარიშგება, სამოქმედო გეგმით განსაზღვრული აქტივობების განხორციელების ხელშეწყობა;

ვ) სისხლის სამართლის, კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის, ღია მმართველობისა და სხვა დაკავშირებულ თემებზე სოციოლოგიური კვლევების ჩატარების ხელშეწყობა და შედეგების ანალიზი, უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებთან და კვლევით ინსტიტუტებთან თანამშრომლობა, კვლევითი და სხვა ტიპის პროექტების მართვა;

ზ) სამართლებრივი კვლევების მომზადება, საერთაშორისო სამართლის, სისხლის სამართლისა და სისხლის სამართლის პროცესის სფეროში, კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლისა და ღია მმართველობის თემებზე ძირითადი ტენდენციებისა და სიახლეების კვლევა, სახელმწიფოთა კანონმდებლობის კვლევა, ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სასამართლოების პრაქტიკის ანალიზი;

თ) საერთაშორისო ორგანიზაციებთან ურთიერთობა: ანგარიშგება, საერთაშორისო წარმომადგენლობა, სახელმწიფოთა შეფასებასა და მონიტორინგში მონაწილეობა;

ი) მართლმსაჯულების სექტორში ევროკავშირის დახმარების კოორდინაცია, ფინანსური შეთანხმებების გაფორმების მიზნით მოლაპარაკებების წარმოება, ფინანსური შეთანხმების შესრულების ხელშეწყობა, ამ და სხვა საკითხებზე ევროკავშირთან ურთიერთობა.

1.1. ანალიტიკური დეპარტამენტის თანამშრომლები

რუსუდან მიხელიძე, დეპარტამენტის უფროსი, იურისტი, საერთაშორისო სამართლის მაგისტრი (ჰელსინკის უნივერსიტეტი), ჰარვარდის კენედის სახელობის მმართველობის სკოლა, მენეჯმენტის პროგრამის Senior Executive Fellows კურსდამთავრებული, ლექტორი.

ზურაბ სანიკიძე, დეპარტამენტის უფროსის მოადგილე, სტრატეგიული განვითარების სამმართველოს უფროსი, იურისტი, საერთაშორისო სამართლის მაგისტრი (საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტი (GIPA), საერთაშორისო სამართლის მაგისტრი (გაეროს საერთაშორისო სამართლისა და მართლმსაჯულების უნივერსიტეტი (UNICRI)), ლექტორი.

ნატალია ბარათაშვილი, კვლევისა და ანალიზის სამმართველოს მრჩეველი, იურისტი, სამართლის მაგისტრი (ჩიკაგოს ლოილას უნივერსიტეტი - „Rule of Law for Development“), საერთაშორისო სამართლის მაგისტრანტი (ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი).

გულისა კახნიაშვილი, სტრატეგიული განვითარების სამმართველოს მრჩეველი, იურისტი, საზღვაო სამართლის მაგისტრი (ლუნდის უნივერსიტეტი).

გვანცა მეუნარგია, სტრატეგიული განვითარების სამმართველოს მრჩეველი, იურისტი, ბაკალავრი (საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი).

თამარ ბარსონიძე, სტრატეგიული განვითარების სამმართველოს მრჩეველი, იურისტი, სამართლის მაგისტრი (ივ. ჯავახიშვილი სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი).

ქეთევან ცანავა, სტრატეგიული განვითარების სამმართველოს მრჩეველი, საერთაშორისო სამართლის მაგისტრანტი (ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი).

ლანა მორგოშია, ანალიტიკური დეპარტამენტის მრჩეველი, სამართლის მაგისტრი (თბილისის ეკონომიკურ ურთიერთობათა სახელმწიფო უნივერსიტეტი).

ნათია ოდიშარია, სისხლის სამართლის რეფორმის საბჭოს ეროვნული კოორდინატორი, ფილოლოგი (თბილისის ეკონომიკის, სამართლის და ინფორმაციის საერთაშორისო ინსტიტუტი), სინქრონული თარგმნის არასრული კურსი, 1 წელი (ილია ჭავჭავაძის სახ. ენათა და კულტურათა სახელმწიფო უნივერსიტეტი).

2. 2013 წლის მნიშვნელოვანი მიმართულებები

2.1. კანონპროექტები

2013 წლის განმავლობაში ანალიტიკური დეპარტამენტი მუშაობდა მნიშვნელოვან კანონპროექტებზე: ცვლილებები სისხლის სამართლის კოდექსში, სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში, შრომის კოდექსში, საჯარო სამსახურში ინტერესეთა შეუთავსებლობისა და კორუფციის შესახებ კანონში. დეპარტამენტმა დაიწყო მუშაობა არასრულწლოვანთა კოდექსსა და ინფორმაციის თავისუფლების კანონმდებლობაზე.

2.1.1. სისხლის სამართლის კოდექსის გადასინჯვა

2013 წელს ანალიტიკური დეპარტამენტის საქმიანობის ერთ-ერთი მთავარი მიმართულება იყო სისხლის სამართლის კოდექსის გადასინჯვის პროცესის კოორდინაცია და ანალიტიკური მხარდაჭერა. კოდექსზე მუშაობა მიმდინარეობდა სისხლის სამართლის სისტემის რეფორმის უწყებათაშორისი საკოორდინაციო საბჭოს სისხლის სამართლის კანონმდებლობის სამუშაო ჯგუფის ფარგლებში ევროკავშირის აქტიური მხარდაჭერით, ევროპელი და ამერიკელი ექსპერტების უშუალო მონაწილეობით.

2013 წელს სისხლის სამართლის რეფორმის უწყებათაშორისმა საბჭომ დაამტკიცა სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილის გადასინჯვის კონცეფცია. სისხლის სამართლის კოდექსის გადასინჯვის მიზანია სისხლის სამართლის კანონმდებლობის ლიბერალიზაცია, მოდერნიზაცია და საერთაშორისო სტანდარტებთან მისი შესაბამისობაში მოყვანა. ძირითადი აქცენტი გაკეთდა შემდეგ საკითხებზე: მოსამართლის როლი, მართლწინააღმდეგობისა და ბრალის გამომრიცხველი გარემოებები, დანაშაულის ამსრულებლობა, ჯგუფური დანაშაული, პირობითი მსჯავრი და სხვ.

2013 წლის განმავლობაში გაიმართა სისხლის სამართლის კანონმდებლობის რეფორმის სამუშაო ჯგუფის 7 შეხვედრა, ერთი კონფერენცია და შემუშავდა სისხლის სამართლის კოდექსის ზოგადი ნაწილის ცვლილებების პროექტი.

სისხლის სამართლის კოდექსის გადასინჯვის ფარგლებში, ევროკავშირის მხარდაჭერით, 2013 წელს იუსტიციის სამინისტროს დელეგაცია ეწვია პოლონეთის იუსტიციის სამინისტროსა და პოლონეთის სისხლის სამართლის კოდიფიკაციის კომისიას. შეხვედრები გაიმართა აგრეთვე კრაკოვის უნივერსიტეტში სისხლის სამართლის ცნობილ პროფესორებთან.

2014 წელს იგეგმება სისხლის სამართლის კოდექსის კერძო ნაწილის გადასინჯვა.

2.1.2. ცვლილებები სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში

2013 წელს საპროცესო შეთანხმებისა და დაზარალებულის ინსტიტუტის რეფორმის მიზნით შემუშავდა ცვლილებათა კანონპროექტები, რომელთა ძირითად არსს წარმოადგენს სასჯელზე საპროცესო შეთანხმების გაუქმება, მოსამართლის უფლებამოსილებების გაზრდა, დაზარალებულის უფლებების გაფართოება. მომზადდა ასევე ცვლილებების პაკეტი განაჩენის აღსრულების გადავადების საკითხთან დაკავშირებით. აღნიშნული კანონპროექტების მომზადებისას შედარებითსამართლებრივი კვლევები ხორციელდებოდა ევროკავშირის ტექნიკური დახმარების პროექტის „სისხლის სამართლის სისტემის რეფორმის მხარდაჭერა საქართველოში“ (შემდგომში: „ევროკავშირის პროექტი“) და ადგილობრივი ექსპერტების დახმარებით. კანონპროექტების პარლამენტისათვის წარდგენა იგეგმება საგაზაფხულო სესიაზე.

მუშაობა იგეგმება ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტის გაძლიერებისა და დახვეწის მიზნით ცვლილებების პროექტის მომზადებაზე, კერძოდ აქცენტი გაკეთდება ნაფიც მსაჯულთა შერჩევის გამჭვირვალობასა და გადაწყვეტილების დასაბუთებულობაზე. ამ მიზნით იუსტიციის სამინისტროს თხოვნით ევროპის საბჭომ მოამზადა ნაფიც მსაჯულთა ევროპული მოდელების შედარებითსამართლებრივი კვლევა.

2.1.3. არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსი

იუსტიციის სამინისტროს ანალიტიკურმა დეპარტამენტმა გაეროს ბავშვთა ფონდის (UNICEF) და ევროკავშირის პროექტის მხარდაჭერით მუშაობა დაიწყო **არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის** შემუშავებაზე. იუსტიციის მინისტრის გადაწყვეტილებით ამ მიზნით შეიქმნა სპეციალური სამუშაო ჯგუფი. ახალი კოდექსი ერთ საკანონმდებლო აქტში გააერთიანებს არასრულწლოვანთა პასუხისმგებლობის, ადმინისტრაციული და სისხლის სამართლის პროცესის, სასჯელაღსრულების და სხვა საკითხების მარეგულირებელ ნორმებს, რაც ხელს შეუწყობს არასრულწლოვანთა კანონმდებლობის სიმარტივეს და განჭვრეტადობას. კოდექსში გათვალისწინებული იქნება არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების სფეროში არსებული სტანდარტები და თანამედროვე საუკეთესო პრაქტიკა.

2.1.4. შრომის კანონმდებლობის რეფორმა

2012 წლის დეკემბრიდან ანალიტიკურმა დეპარტამენტმა შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის, ადგილობრივი ექსპერტების, პროფესიული კავშირების, არასამთავრობო და ბიზნეს სექტორის ჩართულობით დაიწყო მუშაობა შრომის კანონმდებლობის სისტემურ და კონცეპტუალურ რეფორმაზე. საერთაშორისო სტანდარტებისა და სახელმწიფოთა გამოცდილების საფუძველზე, ასევე პროფესიული კავშირებისა და ბიზნეს სექტორისა და ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციების რეკომენდაციების გათვალისწინებით, შემუშავდა შრომის კოდექსის ცვლილებების პროექტი.

ცვლილებების პროექტზე მუშაობა დასრულდა 2013 წლის მარტში. ცვლილებები ძალაში შევიდა 2013 წლის 4 ივლისს. ახლებურად დარეგულირდა დამსაქმებლისა და დასაქმებულის ურთიერთობა: განისაზღვრა ხელშეკრულების შეწყვეტის, ზეგანაკვეთური შრომის ანაზღაურების, ვადიანი და უვადო შრომითი ხელშეკრულებების დადების წესები; ინდივიდუალურ და კოლექტიურ შრომით დავებთან დაკავშირებით დაწესდა ახალი რეგულაციები, გაიზარდა სოციალური პარტნიორობის სამმხრივი კომისიის როლი.

2013 წელს ანალიტიკურ დეპარტამენტში მუშაობა დაიწყო შრომის კოდექსის ცვლილებების მეორე ეტაპზე, რომელიც ეხება ქალთა უფლებების კუთხით კანონმდებლობის გაუმჯობესებას. ცვლილებების პირველი ეტაპის მსგავსად კონსულტაციები გაიმართა სამთავრობო და (ქალთა უფლებების დაცვის კუთხით მომუშავე) არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებთან, ბიზნეს სექტორთან და პროფესიულ კავშირებთან.

2.1.5. მამხილებელთა დაცვა

2013 წელს საჯარო სამსახურის ბიუროს „მამხილებელთა დაცვის შესახებ“ კანონის პროექტის საფუძველზე ანალიტიკურ დეპარტამენტში მომზადდა პროექტი „საჯარო სამსახურში ინტერესთა შეუთავსებლობისა და კორუფციის შესახებ“ საქართველოს კანონის V¹ თავში (მამხილებელთა დაცვა) ცვლილებების შეტანის მიზნით.

კანონპროექტის მიღების საჭიროება განპირობებულია საჯარო სამსახურში მხილების პროცედურის მოქნილობის უზრუნველყოფის, მამხილებლისათვის სამართლებრივი გარანტიების გაზრდისა და საერთაშორისო დონეზე ნაკისრი ვალდებულებების შესრულების აუცილებლობით - ევროკავშირსა და საქართველოს შორის ვიზა ლიბერალიზაციის პროცესის სამოქმედო გეგმა ითვალისწინებს მამხილებელთა დაცვის მიზნით საკანონმდებლო ცვლილებების განხორციელებას.

ანალიტიკური დეპარტამენტი კანონპროექტზე მუშაობისას დაეყრდნო სხვადასხვა არასამთავრობო ორგანიზაციის კვლევებსა და სახელმძღვანელო პრინციპებს: საერთაშორისო გამჭვირვალობა, ევროკომისია (სახელმძღვანელო პრინციპები მამხილებელთა შესახებ), G20-ის ანტიკორუფციული სამოქმედო გეგმა (მამხილებელთა დაცვა), ეკონომიკური თანაშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის მოხსენება (OECD Whistleblower Protection: encouraging reporting) და სხვ. კანონპროექტმა გაიარა ექსპერტიზა ევროპის საბჭოს პროექტის ფარგლებში - „კარგი მმართველობა და კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლა“, რეკომენდაციები აისახა საბოლოო რედაქციაში.

2.1.6. ინფორმაციის თავისუფლების მარეგულირებელი კანონმდებლობა

ინფორმაციის თავისუფლების მარეგულირებელი კანონმდებლობის გადასინჯვა გათვალისწინებულია ნატო-საქართველოს ყოველწლიური (2014) პროგრამით და

ეკონომიკური განვითარებისა და თანამშრომლობის ორგანიზაციის მესამე რაუნდის მონიტორინგის ანგარიშის რეკომენდაციებით, აგრეთვე ღია მმართველობის პარტნიორობის ფარგლებში აღებული ვალდებულებებით.

2013 წელს ანალიტიკურმა დეპარტამენტმა არასამთავრობო ორგანიზაციების კვლევებისა და რეკომენდაციების და საერთაშორისო პრაქტიკის ანალიზის საფუძველზე მოამზადა მთავრობისთვის წარსადგენი წინადადებები საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის საკანონმდებლო მექანიზმების გაუმჯობესების შესახებ.

ანალიტიკური დეპარტამენტი კოორდინაციას გაუწევს ინფორმაციის თავისუფლების მარეგულირებელი კანონმდებლობის გადასინჯვის პროცესს, რომელიც წარიმართება ფართო ჩართულობით და რომლის მთავარი მხარდამჭერია ფონდი „ღია საზოგადოება საქართველო“.

2.1.7. საჯარო ინფორმაციის პროაქტიულად გამოქვეყნება

2013 წლის 1 სექტემბერს ძალაში შევიდა საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით გათვალისწინებული საჯარო ინფორმაციის პროაქტიულად გამოქვეყნებისა და ინფორმაციის ელექტრონული ფორმით გაცემის ვალდებულება. „ღია მმართველობის პარტნიორობის საქართველოს სამოქმედო გეგმის განხორციელებისათვის აუცილებელ ღონისძიებათა შესახებ“ მთავრობის 2013 წლის 9 ივლისის N775 განკარგულებით იუსტიციის სამინისტროს დაევალა პროაქტიულად გამოსაქვეყნებელი ინფორმაციის ნუსხის შემუშავება.

არასამთავრობო ორგანიზაციებსა და სამთავრობო დაწესებულებებთან მჭიდრო თანამშრომლობით და კონსულტაციების შედეგად, ანალიტიკურმა დეპარტამენტმა მოამზადა საქართველოს მთავრობის დადგენილების პროექტი „საჯარო ინფორმაციის ელექტრონული ფორმით მოთხოვნისა და პროაქტიულად გამოქვეყნების შესახებ“, რომელიც საქართველოს მთავრობის მიერ მიღებულ იქნა 2013 წლის 26 აგვისტოს, ხოლო ძალაში შევიდა ამავე წლის პირველ სექტემბერს.

ანალიტიკურმა დეპარტამენტმა ასევე მოამზადა იუსტიციის სამინისტროს მიერ მთავრობისათვის წარსადგენი მოსაზრებები საჯარო ინფორმაციის პროაქტიულად გამოქვეყნებისა და ელექტრონულად გაცემის იმპლემენტაციისათვის საჭირო ღონისძიებათა შესახებ.

2.2. სტრატეგიები და სამოქმედო გეგმები

2.2.1. სისხლის სამართლის მართლმსაჯულების რეფორმა

2013 წელს ანალიტიკური დეპარტამენტის კოორდინაციით განახლდა სისხლის სამართლის სისტემის რეფორმის სტრატეგია და სამოქმედო გეგმა, რომელიც სისხლის სამართლის მართლმსაჯულების სისტემის რეფორმის უწყებათაშორისმა საკოორდინაციო საბჭომ

დაამტკიცა რიგით მეათე სხდომაზე 2013 წლის 14 ივნისს. სტრატეგია და სამოქმედო გეგმა მოიცავს შემდეგ მიმართულებებს: სისხლის სამართლის კანონმდებლობის რეფორმა, არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების სისტემის რეფორმა, პენიტენციური სისტემის რეფორმა, პრობაციის რეფორმა, იურიდიული დახმარება, სახალხო დამცველის აპრატი, პროკურატურის რეფორმა, სასამართლო რეფორმა, პოლიციის რეფორმა და იურიდიული განათლება.

ევროკავშირის პროექტის მხარდაჭერით გაიმართა სემინარი პროგრამული ბიუჯეტირების საკითხებზე, რომლის მიზანი იყო სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის ძირითადი მონაცემებისა მიმართულებებისა დოკუმენტთან (BDD) შესაბამისობის უზრუნველყოფა.

2.2.2. კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის 2014-2016 წლების სტრატეგიული პრიორიტეტები

2013 წლის 5 ივლისს ანტიკორუფციულმა საბჭომ დაამტკიცა კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის 2014-2016 წლების 11 სტრატეგიული პრიორიტეტი:

- კორუფციის პრევენციის მიზნით ეფექტიანი უწყებათაშორისი კოორდინაცია;
- საჯარო სამსახურში კორუფციის პრევენცია;
- ღიაობა, საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობა და მოქალაქეთა ჩართულობა კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლაში;
- განათლება და საზოგადოებრივი ცნობიერების ამაღლება კორუფციის პრევენციის მიზნით;
- კორუფციის პრევენცია სამართალდამცავ ორგანოებში, კორუფციული დანაშაულების ეფექტიანი გამოვლენა და სისხლისსამართლებრივი დევნა;
- კორუფციის პრევენცია მართლმსაჯულების სისტემაში;
- გამჭვირვალობის უზრუნველყოფა და კორუფციული რისკების შემცირება საჯარო ფინანსების და სახელმწიფო შესყიდვების სფეროში;
- კორუფციის პრევენცია საბაჟო და საგადასახადო სისტემაში;
- კორუფციის პრევენცია კერძო სექტორთან მიმართებით;
- კორუფციის პრევენცია ჯანდაცვისა და სოციალურ სექტორში;
- პოლიტიკური კორუფციის პრევენცია.

პრიორიტეტები შემუშავებულ იქნა ანალიტიკური დეპარტამენტის კოორდინაციით კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის უწყებათაშორისი საკოორდინაციო საბჭოს ექსპერტთა სამუშაო ჯგუფის ფარგლებში და ეყდნობა საბჭოს წევრების კომენტარებს სამუშაო შეხვედრებისა და 3-დღიანი სტრატეგიული დაგეგმვის სემინარის შედეგად.

მოქმედი ანტიკორუფციული სტრატეგიის გაანხლებისა და ახალი 2014-2016 წლების სამოქმედო გეგმის შემუშავების მიზნით, ანტიკორუფციულმა საბჭომ შექმნა 9 თემატური სამუშაო ჯგუფი, რომლთა მუშაობას კოორდინაციას გაუწევს ანალიტიკური დეპარტამენტი.

2.2.3. ღია მმართველობის პარტნიორობა

ანალიტიკური დეპარტამენტი, როგორც კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის უწყებათაშორისი საკოორდინაციო საბჭოს სამდივნო, კოორდინაციას უწევს ღია მმართველობის პარტნიორობას ეროვნულ დონეზე.

„ღია მმართველობის პარტნიორობის საქართველოს სამოქმედო გეგმის განხორციელებისათვის აუცილებელ ღონისძიებათა შესახებ“ მთავრობის 2013 წლის 9 ივლისის №775 განკარგულების საფუძველზე სამთავრობო დაწესებულებების, არასამთავრობო და საერთაშორისო ორგანიზაციების რეკომენდაციების გათვალისწინებით, დეპარტამენტმა შეიმუშავა **ღია მმართველობის პარტნიორობის 2014-2015 წლების სამოქმედო გეგმის პრიორიტეტული მიმართულებები**, რომელიც წარედგინა საქართველოს მთავრობას.

ამავე განკარგულების საფუძველზე საჯარო უწყებებისა და არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლებთან კონსულტაციების შედეგად, ანალიტიკურმა დეპარტამენტმა ასევე შეიმუშავა:

- მოსაზრებები ცენტრალური და ადგილობრივი ხელისუფლების საქმიანობისა და გადაწყვეტილების მიღების პროცესში მოქალაქეთა ჩართულობის უზრუნველყოფისათვის აუცილებელი მექანიზმების შესახებ;
- წინადადებები საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის საკანონმდებლო მექანიზმების გაუმჯობესების შესახებ;
- მოსაზრებები საჯარო ინფორმაციის პროაქტიულად გამოქვეყნებისა და ელექტრონულად გაცემის იმპლემენტაციისათვის საჭირო ვალდებულებათა შესახებ.
- საჯარო ინფორმაციის ელექტრონული ფორმით მოთხოვნისა და პროაქტიულად გამოქვეყნების შესახებ მთავრობის დადგენილების პროექტი.

ამერიკის შეერთებული შტატების განვითარების სააგენტოს (USAID) დემოკრატიული მმართველობის პროგრამის (G3) მხარდაჭერით ანალიტიკურმა დეპარტამენტმა გამართა მრგვალი მაგიდები ღია მმართველობის პარტნიორობის თემებზე:

- 29 ივლისის მრგვალი მაგიდა „ღია მმართველობის პარტნიორობის სამოქმედო გეგმა და მოქალაქეთა ჩართულობის მექანიზმები.“ მონაწილეებმა განიხილეს სამოქალაქო

საზოგადოების მიერ შემუშავებული რეკომენდაციები, მოისმინეს საერთაშორისო ექსპერტის მოსაზრებები ღია მმართველობის პარტნიორობის ინიციატივის ტენდენციებთან დაკავშირებით და იმსჯელეს ახალი სამოქმედო გეგმის პრიორიტეტულ მიმართულებებზე.

- 1-ელი ოქტომბრის მრგვალი მაგიდა „**2012-2013 წლების სამოქმედო გეგმის შესრულების შეფასება და სამომავლო ხედვა**“, რომელზეც პასუხისმგებელმა უწყებებმა წარმოადგინეს ღია მმართველობის პარტნიორობის სამოქმედო გეგმის ფარგლებში აღებულ ვალდებულებათა შესრულების შესახებ ანგარიშები.
- 26 დეკემბერის: მრგვალი მაგიდა „**ღია მმართველობის პარტნიორობის 2012-2013 წლების სამოქმედო გეგმის შეფასების ანგარიში და 2014-2015 წლების სამოქმედო გეგმა**“. 2012-2013 წლების სამოქმედო გეგმის შესრულების ანგარიში ანალიტიკურმა დეპარტამენტმა სამოქმედო გეგმით განსაზღვრული პასუხისმგებელი უწყებებისაგან მოწოდებული ინფორმაციის საფუძველზე და მათთან კონსულტაციების გზით შეიმუშავა. ღონისძიების ფარგლებში დეპარტამენტმა წარმოადგინა ღია მმართველობის პარტნიორობის სახელმძღვანელო დოკუმენტების შესაბამისად მომზადებული სამოქმედო გეგმის შემუშავების პროცესის ამსახველი გეგმა, არასამთავრობო ორგანიზაციათა ფორუმის განახლებული მოდელი და მისი სახელმძღვანელო წესები. მრგვალი მაგიდაზე მოწვეულმა თითოეულმა სახელმწიფო უწყებამ წარადგინა ერთი ახალი ვალდებულება, რომლის ასახვაც საჭიროდ მიაჩნდა ღია მმართველობის პარტნიორობის საქართველოს ახალ სამოქმედო გეგმაში (2014-2015).

2013 წელს ლონდონში გაიმართა ღია მმართველობის პარტნიორობის ყოველწლიური სამიტი, რომელშიც მონაწილეობა მიიღო პარტნიორობის 61 წევრი ქვეყნის წარმომადგენელმა. სამიტი მიზნად ისახავდა პარტნიორობის წევრ ქვეყნებს შორის უკანასკნელი წლის განმავლობაში ხელისუფლების გამჭვირვალობის, ანგარიშვალდებულებისა და ეფექტიანობის გაზრდის კუთხით მიღწეული შედეგების გაცნობას. ქართულ დელეგაციას ხელმძღვანელობდა საქართველოს იუსტიციის მინისტრი ქალბატონი თეა წულუკიანი, რომელმაც სიტყვით მიმართა ინფორმაციის თავისუფლების ჯგუფს. იუსტიციის მინისტრმა სამიტის მონაწილეებს გააცნო ინფორმაციის თავისუფლების სფეროში საქართველოს მიერ განხორციელებული რეფორმები.

სამიტის ფარგლებში გამართულ კონკურსში არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ წარდგენილ შვიდ წარმატებულ პროექტს შორის დასახელებული იყო საქართველოს საჯარო ინფორმაციის პროაქტიულად გამოქვეყნებისა და ელექტრონული გამოთხოვის რეფორმა.

2013 წელს ანალიტიკური დეპარტამენტის ინიციატივით დაიბეჭდა „ღია მმართველობის პარტნიორობის“ სამოქმედო გეგმის მიღწევების შესახებ ბროშურა (“Highlights of

Implementation of the National Action Plan of Georgia on Open Government Partnership 2012-2013”). ბროშურაში ხაზგასმულია 2012-2013 წლებში საქართველოს მიერ გატარებულ ღონისძიებები და მიღწევები, აგრეთვე ღია მმართველობის პარტნიორობის სამოქმედო გეგმის იმპლემენტაციის კუთხით არსებული გამოწვევები და სამომავლო გეგმები.

დეპარტამენტი კოორდინაციას უწევს საქართველოს მონაწილეობას ღია მმართველობის პარტნიორობის 3 სამუშაო ჯგუფში: ინფორმაციის თავისუფლების, საპარლამენტო ღიაობისა და ღია მონაცემების ჯგუფები.

2.3. უწყებათაშორისი კოორდინაცია

2.3.1. სისხლის სამართლის მართლმსაჯულების რეფორმის საბჭოს ადმინისტრირება

საანგარიშო პერიოდში სამდივნოს ორგანიზებით გაიმართა სისხლის სამართლის მართლმსაჯულების სისტემის რეფორმის უწყებათაშორისი საკოორდინაციო საბჭოს სხდომა და სამუშაო ჯგუფების შეხვედრები (სულ 24 შეხვედრა).

საბჭოს ფარგლებში შექმნილია შემდეგი სამუშაო ჯგუფები: სისხლის სამართლის კანონმდებლობის რეფორმა, არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების სისტემის რეფორმა, პენიტენციური სისტემის რეფორმა, პრობაციის რეფორმა, იურიდიული დახმარება, პროკურატურის რეფორმა, სასამართლო რეფორმა, პოლიციის რეფორმა, რესოციალიზაცი-რეაბილიტაცია და განაჩენის აღსრულების გადავადება.

სამდივნომ ორგანიზება გაუწია ასევე ორდღიან სემინარს ყვარელში, იუსტიციის სასწავლო ცენტრის ფილიალში, სადაც მოეწყო მართლმსაჯულების სისტემის რეფორმის მეორე ეტაპის საკანონმდებლო პაკეტის პრეზენტაცია.

ანალიტიკურმა დეპარტამენტმა, როგორც სისხლის სამართლის მართლმსაჯულების რეფორმის საბჭოს სამდივნომ, 2013 წლის ოქტომბერში ევროკავშირის მხარდაჭერით ორგანიზება გაუწია დონორი ორგანიზაციებისა და სამოქალაქო საზოგადოებისათვის კონფერენციას: **სისხლის სამართლის მართლმსაჯულების რეფორმები: მიღწევები და სამომავლო გეგმები.**

2013 წლის დეკემბერში სამდივნოს ორგანიზებითა და ევროკავშირისა და აშშ-ს იუსტიციის დეპარტამენტის მხარდაჭერით გაიმართა კონფერენცია „პატიმრობის შემცირება უკეთესი მომავლისთვის, საზოგადოებრივი სანქციების და ზომების გამოყენება წინასასამართლო და სასჯელის დაწესების ეტაპებზე“.

ანალიტიკურმა დეპარტამენტმა დახვეწა სხდომის ოქმების შედგენის ფორმა და პრაქტიკა, განაახლა წლიური პროგრესის ანგარიშისა და ევროკავშირთან დადებული ფინანსური შეთანხმების ანგარიშგების ფორმატი.

2.3.2. ანტიკორუფციული საბჭოს ადმინისტრირება

2013 წელს ანალიტიკური დეპარტამენტის, როგორც კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის უწყებათაშორისი საკოორდინაციო საბჭოს (შემდგომში „ანტიკორუფციული საბჭო“) სამდივნოს ხელშეწყობით გაიმართა ანტიკორუფციული საბჭოს ორი სხდომა (25 იანვარს და 5 ივლისს). 2013 წლის დასაწყისში გაფართოვდა ანტიკორუფციული საბჭოს შემადგენლობა და მოიცვა არასამთავრობო (7 ახალი წევრი) და საერთაშორისო (5 ახალი წევრი) ორგანიზაციათა უფრო ფართო წრე, ასევე პირველად მოხდა ბიზნეს სექტორის წარმომადგენლების ჩართვა საბჭოს საქმიანობაში (ერთი ადგილობრივი და 2 საერთაშორისო ახალი წევრი). ამასთანავე, 2013 წლის ბოლოს საბჭოს შემადგენლობას დაემატა შრომის, ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის სამინისტრო, თავდაცვის სამინისტრო, ცენტრალური საარჩევნო კომისია, საგადასახადო ომბუდსმენი, პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორი და სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოება.

კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლაზე პასუხისმგებელი ორგანოების გაძლიერების მიზნით 2013 წლის 12-14 მარტს, სამუშაო ჯგუფების წევრებისათვის გაეროს ნარკოტიკებისა და დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის ორგანიზაციამ გამართა სემინარი **ეროვნული ანტიკორუფციული სტრატეგიის, სამოქმედო გეგმის და მონიტორინგის მექანიზმების შემუშავების შესახებ**. სემინარზე შემუშავდა სტრატეგიული პრიორიტეტებისა და მასთან დაკავშირებული აქტივობების პირველადი სია. ანტიკორუფციულმა საბჭომ განაახლა 2010-2013 წლების სამოქმედო გეგმა, რომელიც 2013 წლის 5 ივლისს დამტკიცდა ანტიკორუფციული საბჭოს მიერ. ამასთანავე, საბჭომ დაამტკიცა კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის 2014-2016 წლების 11 სტრატეგიული პრიორიტეტი. ანტიკორუფციული სტრატეგიის განახლებისა და ახალი 2014-2016 წლების სამოქმედო გეგმის შემუშავების მიზნით, ანტიკორუფციულმა საბჭომ შექმნა 9 თემატური სამუშაო ჯგუფი.

სამდივნოს ხელშეწყობით 2013 წლის სექტემბრიდან დაიწყო თემატური სამუშაო ჯგუფების ფორმირება. სამდივნომ შეიმუშავა სამუშაო ჯგუფების დებულება, რომელიც ადგენს სამუშაო ჯგუფის მიზნებსა და საქმიანობის წესს და განსაზღვრავს სამუშაო ჯგუფის წევრებისა და მომხსენებლების უფლებამოსილებას. სამდივნომ ასევე მოამზადა სტრატეგიის განახლებისა და სამოქმედო გეგმის შემუშავებისათვის შესაბამისი წყაროების ჩამონათვალი.

„საჯარო სამსახურში კორუფციისა და ინტერესთა შეუთავსებლობის შესახებ“ საქართველოს კანონში შესული ცვლილებების საფუძველზე, რომლის მიხედვითაც ანტიკორუფციული საბჭოს შემადგენლობასა და დებულებას საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულების

ნაცვლად განსაზღვრავს საქართველოს მთავრობის დადგენილება, მომზადდა მთავრობის დადგენილების პროექტი ანტიკორუფციული საბჭოს დებულების დამტკიცების თაობაზე. ანტიკორუფციული საბჭოს დებულება დამტკიცებულ იქნა 2013 წლის 30 დეკემბრის საქართველოს მთავრობის დადგენილებით N390.

გარდა ამისა, 2013 წლის განმავლობაში დეპარტამენტი უზრუნველყოფდა საქართველოს ანტიკორუფციული რეფორმის შესახებ დაინტერესებულ პირთათვის და ორგანიზაციებისათვის ინფორმაციის მიწოდებას, საერთაშორისო ორგანიზაციებისათვის შესაბამისი ანგარიშების მომზადებას, კორუფციის თემაზე სხვადასხვა რეიტინგებისა და კვლევების ანალიზს, ღონისძიებების ორგანიზებას და სხვ.

2.4. სისხლის სამართლის სისტემის რეფორმის საბუჯეტო დახმარების პროგრამა

საქართველო-ევროკავშირის ფინანსური შეთანხმება

საქართველოს მთავრობასა და ევროკავშირს შორის დადებულია ფინანსური შეთანხმება სისხლის სამართლის სისტემის რეფორმის საბუჯეტო დახმარების 3-წლიანი პროგრამის შესახებ. ფინანსური შეთანხმებით საქართველოს მთავრობამ აიღო ვალდებულება განახორციელოს სისხლის სამართლის სისტემის რეფორმა ევროკავშირის მხარდაჭერით. ეს ვალდებულება დეტალურად არის გაწერილი ფინანსური შეთანხმების ზოგად და კონკრეტულ პირობებში, რომლებიც განისაზღვრა საქართველო-ევროკავშირს შორის მოლაპარაკების შედეგად.

ფინანსური შეთანხმებით განსაზღვრულია, რომ შეთანხმების შესრულების პროცესს კოორდინაციას უწევს სისხლის სამართლის სისტემის რეფორმის უწყებათაშორისი საკოორდინაციო საბჭო სამდივნოს (ანალიტიკური დეპარტამენტის) საშუალებით. ანალიტიკურმა დეპარტამენტმა, როგორც სისხლის სამართლის სისტემის რეფორმის საბჭოს სამდივნომ უზრუნველყო ფინანსური შეთანხმებით გათვალისწინებული პირობების შესრულების მონიტორინგი, შეფასების მისიის ვიზიტის კოორდინაცია და ფასილიტაცია. ასევე სამდივნომ მოამზადა ერთიანი ანგარიში, რომელიც მოიცავდა 731 დოკუმენტს და წარუდგინა ევროკავშირის დელეგაციასა და ევროკავშირის შეფასების მისიას. წარდგენილი ანგარიშების საფუძველზე, ფინანსური შეთანხმებით გათვალისწინებული პირობები შესრულებულად ჩაითვალა ევროკავშირის მიერ და შესაბამისად საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტში სრულად ჩაირიცხა **5 მლნ ევრო**.

2.5. ვიზა ლიბერალიზაცია

ევროკავშირისა და საქართველოს ვიზა ლიბერალიზაციის სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული აქტივობების შესრულების პროცესში მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა საქართველოს იუსტიციის სამინისტრომ, მათ შორის ანალიტიკურმა დეპარტამენტმა.

ვიზა ლიბერალიზაციის მიზნებიდან გამომდინარე ანალიტიკური დეპარტამენტის კოორდინაციით განხორციელდა შემდეგი ღონისძიებები:

- გაფართოვდა ანტიკორუფციული საბჭოს შემადგენლობა, საბჭოს დაემატა სამოქალაქო და ბიზნეს სექტორის წარმომადგენლები;
- ანტიკორუფციულმა საბჭომ დაამტკიცა მოქმედი ეროვნული ანტიკორუფციული გეგმის ცვლილებები;
- დამტკიცდა 2014-2016 წწ. სტრატეგიული მიმართულებები და მიმდინარეობს მუშაობა სტრატეგიის განახლებასა და ახალი ეროვნული ანტი-კორუფციული სამოქმედო გეგმის შემუშავებაზე;
- მამხილებელთა დაცვის გაუმჯობესების მიზნით მომზადდა „საჯარო სამსახურში ინტერესთა შეუთავსებლობისა და კორუფციის შესახებ“ საქართველოს ცვლილებების კანონპროექტი.

2.6. სოციოლოგიური მიმართულებები

2.6.1. დანაშაულისა და უსაფრთხოების კვლევა

„დანაშაულისა და უსაფრთხოების კვლევის“ პროექტის ფარგლებში კვლევითი კომპანია „გორბის“ ინციატივითა და რესურსებით ჩატარდა საზოგადოებრივი აზრის შესწავლა 2013 წელს. აღნიშნული პროექტი 2010-2012 წლებში ჩატარებული ანალოგიური კვლევის გაგრძელებაა.

დანაშაულებათა კვლევა საქართველოში სტანდარტიზირებულია ICVS (დანაშაულის მსხვერპლთა საერთაშორისო კვლევა) კვლევასთან და მონაცემები შედარებადია საერთაშორისო შედეგებთან ვიქტიმიზაციის 10 ტიპის მიხედვით. კითხვარს ასევე დაემატა ვიქტიმიზაციის 11 კატეგორია ქვეყნის შიდა ანალიზისთვის. გამოკითხვამ მოიცვა დანაშაული, რომლის შედეგადაც დაზარალდა როგორც ინდივიდი და ოჯახი, ასევე დანაშაული, რომელმაც დაზარალა მხოლოდ ინდივიდი. წინა წლებისაგან განსხვავებით გამოკითხვის ზომამ შეადგინა 1000 რესპონდენტი.

ანალიტიკურმა დეპარტამენტმა მოამზადა კვლევის მოკლე ანალიზი.

2.6.2. მონაცემთა ღიაობის ინდექსი

ინდექსი აფასებს მსოფლიოს ქვეყნებში მონაცემთა ხელმისაწვდომობის მდგომარეობას. კვლევა აანალიზებს ამა თუ იმ სახელმწიფოში მონაცემთა პრაქტიკული ხელმისაწვდომობის ასპექტებს: რამდენად ხელმისაწვდომია სამართლებრივი და ტექნიკური კუთხით ინფორმაცია და რა ხარისხით იყენებენ მას დაინტერესებული პირები პრაქტიკული საქმიანობის პროცესში. ჩამოთვლილი საკითხების მიხედვით კვლევაში ქვეყნები რანჟირებულია მონაცემთა ხელმისაწვდომობის კუთხით.

ანალიტიკური დეპარტამენტის მიერ მომზადდა 2013 წელს გამოქვეყნებული კვლევის მეთოდოლოგიის ანალიზი, მოცემულ ეტაპზე საანალიზო ქვეყნების რიცხვში, საქართველო როგორც კვლევის ობიექტი ჩართული არ არის. ანალიტიკური დეპარტამენტის მიერ მოცემული ინდექსის მნიშვნელოვნებისა და მეთოდოლოგიის საფუძველზე მომზადდა რეკომენდაციები საქართველოს ჩართვისათვის მოცემულ საერთაშორისო კვლევაში.

2.7. პროგრამები და პროექტები

2.7.1. კვლევითი პრაქტიკა

2012 წელს ანალიტიკურმა დეპარტამენტმა დაიწყო კვლევითი პრაქტიკის პროექტი, რომელიც გრძელდებოდა 2013 წლის განმავლობაში. 6-თვიანი პროექტის ფარგლებში სამართლისა და სოციოლოგიის სტუდენტებმა გაიარეს კვლევითი პრაქტიკა დეპარტამენტში, რის სანაცვლოდაც მათ მიიღეს უნივერსიტეტებიდან კრედიტები. სტუდენტებმა მონაწილეობა მიიღეს სხვადასხვა სამართლებრივი და სოციოლოგიური საკითხების კვლევაში, სტრატეგიული დოკუმენტების მომზადებაში, თემატურ სამუშაო შეხვედრებსა და კონფერენციებში. კვლევის პროცესში მათ ზედამხედველობას ანალიტიკური დეპარტამენტის თანამშრომლები უწევდნენ. უშუალო ხელმძღვანელი ეტაპობრივად აფასებდა მათ მიერ შესრულებულ სამუშაოს.

კვლევითი პროექტის ბოლოს სტუდენტებმა წარმოადგინეს პრეზენტაციები შემდეგ თემებზე: საპროცესო შეთანხმების რეგულაციები დასავლურ ქვეყნებში, ანტიდისკრიმინაციული სტანდარტები ევროპის ქვეყნების კანონმდებლობაში, საზოგადოებრივად სასარგებლო შრომა ინგლისის სისხლის სამართლის კოდექსში, ნაფიც მსაჯულთა სასამართლოსთან დაკავშირებული პრობლემები, ინფორმაციის თავისუფლების საკითხები, ინსტიტუციური შეზღუდვები მოსამართლეების თავისუფლებაზე და სხვ.

2.7.2. ანტიკორუფციული საბჭოს სხდომის მოდელირება

ანალიტიკური დეპარტამენტის ინიციატივითა და ორგანიზებით კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის საერთაშორისო დღის აღსანიშნავად 2013 წლის 1 დეკემბერს იუსტიციის სამინისტროში გაიმართა **ანტიკორუფციული საბჭოს მოდელირება**, რომელშიც სხვადასხვა უნივერსიტეტის 18 სტუდენტი მონაწილეობდა.

საბჭოს მოდელირებულ სხდომაში წარმატებული მონაწილეობისათვის სტუდენტებს გადაეცათ სერტიფიკატები, ხოლო სხვადასხვა ნომინაციაში გამარჯვებულ სტუდენტებს - საჩუქრები. პროექტს მხარს უჭერდა იუსტიციის სასწავლო ცენტრი, საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველო და ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი (IDFI).

2.8. საზოგადოებასთან ურთიერთობა, პრეზენტაციები საერთაშორისო დელეგაციებისთვის

ანალიტიკური დეპარტამენტის წარმომადგენლებმა მონაწილეობა მიიღეს ტელე-რადიო გადაცემებში დეპარტამენტის პრიორიტეტულ მიმართულებებთან დაკავშირებით. გადაცემები ეთმობოდა ისეთ საკითხებს, როგორცაა შრომის კოდექსი, არასრულწლოვანთა დანაშაულის პრევენცია, ანტიკორუფციული თემატიკა, ღია მმართველობის პარტნიორობით გათვალისწინებული ღონისძიებები და სხვ. აგრეთვე მოეწყო პრეზენტაციები უცხო ქვეყნის დელეგაციებისათვის.

3. სამართლებრივი და სოციოლოგიური კვლევა და ანალიზი

2013 წელს ანალიტიკური დეპარტამენტის მიერ მომზადებული კვლევებისა და ანგარიშების ნუსხა შემდეგია:

1. პროკურატურის ადგილი სამართლებრივ სისტემებში;
2. ინცესტი ამერიკის შეერთებულ შტატებსა და ევროპის სახელმწიფოებში;
3. ბიომეტრიული პირადობის მოწმობა - საერთაშორისო პრაქტიკის მიმოხილვა;
4. ელექტრონული მმართველობა და IT აუტსორსინგი;
5. პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობა და ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებები;
6. იპოთეკის ბაზრის რეგულირების კვლევა;
7. ნოტარიატის სისტემები;
8. დაზარალებულის უფლებები;
9. ნაფიც მსაჯულთა გადაწყვეტილებათა დასაბუთებულობა;
10. ნაფიცი მსაჯულების შერჩევის საერთაშორისო გამოცდილების ანალიზი;
11. საპროცესო შეთანხმება;
12. სასამართლო გადაწყვეტილებების საჯაროობა;
13. მამხილებლების დაცვა;
14. შრომითი უფლებები;
15. საპარლამენტო რესპუბლიკაში დაზვერვის სამსახურის ადგილი და როლი;
16. ტერორიზმი;
17. პოლიტიკური პარტიების დაფინანსება;
18. იურიდიული პირების მიერ პოლიტიკური პარტიების დაფინანსება;
19. პოლიტიკურ პატრიასთან დაკავშირებული პირის ცნება;
20. პოლიტიკური პარტიების დაფინანსების მონიტორინგის ორგანო;
21. სიძულვილის ენა და გამოხატვის თავისუფლება;

22. მსოფლიო კონკურენტუნარიანობის ინდექსის კვლევის მეორადი მიმოხილვა, GCI Word Economic Forum;
23. ბიზნესის კეთება მსოფლიოში 2013, World Bank-ისა და IFC-ის კვლევის მიმოხილვა;
24. კორუფციის აღქმის ინდექსი, CPI Transparency International;
25. კანონის უზენაესობის ინდექსის მიმოხილვა, World Rule of Law Index;
26. თავდაცვის კორუფციის ინდექსის მიმოხილვა;
27. გელაპის კორუფციის აღქმის ინდექსის მიმოხილვა;
28. გლობალური კორუფციის ბარომეტრის მიმოხილვა;
29. მონაცემთა ღიაობის ინდექსის მიმოხილვა.

4. საერთაშორისო ორგანიზაციებთან თანამშრომლობა/წარმომადგენლობა და ანგარიშგება

4.1. ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაცია (OECD)

2013 წელს ანალიტიკური დეპარტამენტი აქტიურად თანამშრომლობდა ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციასთან (OECD). ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის აღმოსავლეთ ევროპისა და ცენტრალური აზიის ანტიკორუფციული ქსელის (OECD ACN) ფარგლებში 2013 წელს დასრულდა საქართველოს შეფასების მესამე რაუნდი.

მესამე რაუნდის შეფასების პირველი ეტაპი მოიცავდა კითხვარის შევსებას, რასაც კოორდინირებას უწევდა ანალიტიკური დეპარტამენტი, როგორც ანტიკორუფციული საბჭოს სამდივნო. შეფასების შემდეგი ეტაპი ითვალისწინებდა OECD-ის დელეგაციის ვიზიტს საქართველოში, რომელიც ანალიტიკური დეპარტამენტის კოორდინაციით გაიმართა 2013 წლის 20-24 მაისს. ვიზიტის ფარგლებში OECD-ის დელეგაციამ სამუშაო შეხვედრები გამართა სახელმწიფო უწყებებისა და არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლებთან.

შეფასების შემდეგ ეტაპზე OECD-ის შეფასების მისიის მიერ შემუშავდა ანგარიში. ანგარიშის პირველადი ვერსია კომენტარებისა და შენიშვნების მომზადების მიზნით ანალიტიკურმა დეპარტამენტმა მიაწოდა შესაბამის უწყებასა და ორგანიზაციას. საბოლოო ანგარიში განხილულ და მიღებულ იქნა 2013 წლის სექტემბერში, OECD ACN-ის პლენარულ სხდომაზე. განხილვებისა და მონიტორინგის ჯგუფთან მოლაპარაკებების შედეგად ანგარიშში საქართველოს სასარგებლოდ განხორციელებულ იქნა მნიშვნელოვანი ცვლილებები, კერძოდ, მოხდა ორი რეკომენდაციის (პროკურატურის დამოუკიდებლობისა და ინფორმაციის თავისუფლების თემებზე) შესრულების რეიტინგის ამაღლება და რამდენიმე რეკომენდაციის განახლებული ფორმულირებით შემუშავება (ანგარიშის თავდაპირველ ვერსიაში ეს რეკომენდაციები იყო სავალდებულო ხასიათის, ხოლო საბოლოოდ ჩამოყალიბდა უფრო მოქნილი ფორმით ე.წ. “consider” რეკომენდაციის სახით).

ანალიტიკური დეპარტამენტის ინიციატივითა და ორგანიზებით გაიმართა ანგარიშის პრეზენტაცია საქართველოში. ანგარიში წარადგინა OECD-ის შეფასების მისიის ხელმძღვანელმა, დმიტრო კოტლიარმა 2013 წლის 10 დეკემბრის მრგვალ მაგიდაზე.

4.2. სახელმწიფოთა ჯგუფი კორუფციის წინააღმდეგ (GRECO)

GRECO-ს მესამე რაუნდის შეფასების ფარგლებში მე-60 პლენარულ სხდომაზე, რომელზეც განიხილებოდა საქართველოს მიერ რეკომენდაციების შესრულების საკითხი, საქართველოს პოზიცია წარმოადგინა ანალიტიკურმა დეპარტამენტმა. დელეგაციის აქტიური მუშაობის შედეგად სხდომაზე აიწია რამდენიმე რეკომენდაციის რეიტინგი. დეპარტამენტი მონაწილეობდა GRECO-ს 2013 წელს გამართულ პლენარულ სხდომებში.

4.3. სხვა საერთაშორისო ორგანიზაციების ანგარიშები და კითხვარები

- ანალიტიკურმა დეპარტამენტმა, როგორც სისხლის სამართლის მართლმსაჯულების სისტემის რეფორმის უწყებათაშორისი საკოორდინაციო საბჭოს სამდივნომ, კოორდინაცია გაუწია ევროპის საბჭოს მართლმსაჯულების ეფექტურობის ევროპული კომისიის (CEPEJ) მიერ მოწოდებული კითხვარის შევსებას იუსტიციის სამინისტროს საქვეუწყებო სტრუქტურებში.
- 2013 წლის განმავლობაში ანალიტიკური დეპარტამენტი მონაწილეობას იღებდა ნატო-საქართველოს ყოველწლიური ეროვნული პროგრამის (ANP) იუსტიციის სამინისტროს კომპონენტთან დაკავშირებით საქართველოსა და საზღვარგარეთ გამართულ ოფიციალურ შეხვედრებში. დეპარტამენტმა შეიმუშავა და წარადგინა 2013 წლის ეროვნული პროგრამის იუსტიციის სამინისტროს კომპონენტი, ხოლო შემდეგ კი წარადგინა შეფასების ანგარიში.

4.4. შიდა ანგარიშები

- ანტიკორუფციული სამოქმედო გეგმის 2012 წლის ანგარიში;
- ანტიკორუფციული სამოქმედო გეგმის შესრულების 2013 წლის 6 თვის ანგარიში;
- სისხლის სამართლის სისტემის რეფორმის პროგრესის შესახებ წლიური ანგარიში (2012);
- სისხლის სამართლის სისტემის რეფორმის პროგრესის შესახებ წლიური ანგარიში (2013).

5. ღონისძიებები და შეხვედრები

ანალიტიკურმა დეპარტამენტმა 2013 წელს ორგანიზება გაუკეთა ანტიკორუფციული საბჭოს სხდომებსა და საბჭოს ფარგლებში შექმნილი სამუშაო ჯგუფის შეხვედრებს. ასევე კოორდინაცია გაუწია სისხლის სამართლის მართლმსაჯულების სისტემის რეფორმის უწყებათაშორისი საკოორდინაციო საბჭოს სხდომებსა და სამუშაო ჯგუფების შეხვედრებს შემდეგი მიმართულებით: სისხლის სამართლის კანონმდებლობის რეფორმა, არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების სისტემის რეფორმა, პენიტენციური სისტემის რეფორმა, პრობაციის რეფორმა, იურიდიული დახმარება, პროკურატურის რეფორმა, სასამართლო რეფორმა, პოლიციის რეფორმა, რესოციალიზაცია-რეაბილიტაცია და განაჩენის აღსრულების გადავადება.

ამასთანავე, დეპარტამენტმა ორგანიზება გაუკეთა და მონაწილეობა მიიღო შემდეგ ღონისძიებებსა და შეხვედრებში:

1. სემინარი საქართველოს ეროვნული ანტიკორუფციული სტრატეგიის, სამოქმედო გეგმისა და მონიტორინგის მექანიზმის შემუშავების შესახებ გაეროს ნარკოტიკებისა და დანაშაულის (UNODC) ოფისის მხარდაჭერით;
2. ეკონომიკური განვითარებისა და თანამშრომლობის ორგანიზაციის (OECD) მესამე რაუნდის შეფასების მისიის ვიზიტი;
3. ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის საქართველოს შეფასების მესამე რაუნდის ანგარიშის პრეზენტაცია;
4. სამუშაო შეხვედრა ინფორმაციის პროაქტიულად გამოქვეყნების თემაზე;
5. მრგვალი მაგიდა - საჯარო ინფორმაციის პროაქტიულად გამოქვეყნება და ინფორმაციის ელექტრონული მოთხოვნა;
6. მრგვალი მაგიდა - ღია მმართველობის პარტნიორობის' სამოქმედო გეგმა და მოქალაქეთა ჩართულობის მექანიზმები;
7. მრგვალი მაგიდა - ღია მმართველობის პარტნიორობის 2012-2013 წლების სამოქმედო გეგმის შესრულების შეფასება და სამომავლო ხედვა;
8. მრგვალი მაგიდა - ღია მმართველობის პარტნიორობის 2012-2013 წლების სამოქმედო გეგმის შესრულების ანგარიში და 2014-2015 წლების სამოქმედო გეგმა;
9. შრომის კოდექსის ცვლილებების პროექტის პრეზენტაცია;

10. შრომის კოდექსის ცვლილებებისა და დამატებების პროექტის პრეზენტაცია ქალთა უფლებებზე;
11. პოლიტიკური პარტიების დაფინანსების გამჭვირვალობის სამუშაო ჯგუფის შეხვედრა;
12. სისხლის სამართლის ექსპერტთა ჯგუფის გასვლითი შეხვედრა კაჭრეთში სისხლის სამართლის კოდექსის გადასინჯვასთან დაკავშირებით;
13. სისხლის სამართლის ექსპერტთა ჯგუფის გასვლითი შეხვედრა სასტუმრო „თბილისი მერიოტში“ სისხლის სამართლის კოდექსის გადასინჯვასთან დაკავშირებით;
14. სისხლის სამართლის ექსპერტთა ჯგუფის გასვლითი შეხვედრა ყვარელში სისხლის სამართლის კოდექსის გადასინჯვასთან დაკავშირებით;
15. სემინარი პროგრამულ ბიუჯეტირებასთან დაკავშირებით სისხლის სამართლის რეფორმის ფარგლებში;
16. კონფერენცია „სასჯელთა სახეები სისხლის სამართლის კოდექსის გადასინჯვის ფარგლებში“;
17. კონფერენცია დონორი ორგანიზაციებისა და სამოქალაქო საზოგადოებისათვის სისხლის სამართლის რეფორმის ფარგლებში;
18. კონფერენცია „პატიმრობის შემცირება უკეთესი მომავლისათვის, საზოგადოებრივი სანქციების და ზომების გამოყენება წინასასამართლო და სასჯელის დაწესების ეტაპებზე“;
19. შეხვედრები განაჩენის აღსრულების გადავადებასთან დაკავშირებით;
20. საერთაშორისო ანტიკორუფციული დღე - ანტიკორუფციული საბჭოს მოდელირება;
21. ანალიტიკური დეპარტამენტის პროგრამის - კვლევითი პრაქტიკის კონფერენცია;
22. კვლევითი პრაქტიკის პროგრამის დასკვნითი ღონისძიება - სერტიფიკატების გადაცემა.

6. საერთაშორისო წარმომადგენლობა და ვიზიტები

ანალიტიკური დეპარტამენტის თანამშრომლები 2013 წლის განმავლობაში მონაწილეობას იღებდნენ ქვეყნის ფარგლებს გარეთ გამართულ სხვადასხვა კონფერენციებსა და შეხვედრებში:

- საფრანგეთი, ქ. სტრასბურგი, კორუფციის წინააღმდეგ სახელმწიფოთა ჯგუფის (GRECO) 59-ე პლენარული სხდომა;
- საფრანგეთი, ქ. სტრასბურგი, კორუფციის წინააღმდეგ სახელმწიფოთა ჯგუფის (GRECO) მე-60 პლენარული სხდომა;
- საფრანგეთი, ქ. სტრასბურგი, კორუფციის წინააღმდეგ სახელმწიფოთა ჯგუფის (GRECO) 62-ე პლენარული სხდომა;
- საფრანგეთი, ქ. სტრასბურგი, ევროპის საბჭოს იურიდიული თანამშრომლობის ევროპული კომიტეტის (CDCJ) 88-ე პლენარული სხდომა;
- ბელგია, ქ. ბრიუსელი, ნატო-საქართველოს პოლიტიკური კომიტეტის სხდომა;
- ამერიკის შეერთებული შტატები, ქ. ვაშინგტონი, კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის თემაზე მიძღვნილი კონფერენცია;
- ავსტრია, ქ. ვენა, კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის საკითხებში საერთაშორისო ექსპერტთა ჯგუფის შეხვედრა;
- ლატვია, ქ. რიგა, ლატვიის კანონმდებლობის შეფასება.
- თურქმენეთი, ქ. აშხაბადი, გაეროს კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის კონვენციის იმპლემენტაცია შიდა კანონმდებლობაში და პრაქტიკაში;
- ბელგია, ქ. ბრიუსელი, ევროკავშირის „აღმოსავლეთ პარტნიორობის“ მრავალმხრივი თანამშრომლობის I პლატფორმის - „დემოკრატია, კარგი მმართველობა და სტაბილურობა“ მეცხრე შეხვედრა;
- ბელგია, ქ. ბრიუსელი, აღმოსავლეთ პარტნიორობის სამეთვალყურეო საბჭოს შეხვედრასა და აღმოსავლეთ პარტნიორობის მრავალმხრივი თანამშრომლობის I პლატფორმის - "დემოკრატია, კარგი მმართველობა და სტაბილურობა" მეათე შეხვედრა;
- ბელგია, ქ. ბრიუსელი, აღმოსავლეთ პარტნიორობის ფარგლებში სამეთვალყურეო შეხვედრა;

- მოლდოვა, ქ. კიშინიოვი, აღმოსავლეთ პარტნიორობის ფარგლებში სასამართლოს სისტემის გაუმჯობესების თემაზე დაგეგმილი შეხვედრა;
- მოლდოვა, ქ. კიშინიოვი, აღმოსავლეთ პარტნიორობის ფარგლებში პოლიტიკური პარტიების დაფინანსების შესახებ სემინარი;
- ბელგია, ქ. ბრიუსელი, აღმოსავლეთ პარტნიორობის ფარგლებში დაზარალებულთა დახმარების საკითხებზე დაგეგმილი სემინარი;
- ამერიკის შეერთებული შტატები, ქ. ლოს-ანჯელესი, სასწავლო ვიზიტი საპროცესო შეთანხმებასთან დაკავშირებით;
- პოლონეთი, ქ. ვარშავა, სასწავლო ვიზიტი სისხლის სამართლის კოდექსის ზოგადი ნაწილის გადასინჯვასთან დაკავშირებით;
- მოლდოვა, ქ. კიშინიოვი, გაეროს ნარკოტიკებისა და დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის ბიუროს მიერ გამართული სემინარი ფულის გათეთრების წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ;
- ინგლისი, ქ. ლონდონი, ღია მმართველობის პარტნიორობის წლიური სამიტი;
- უკრაინა, ქ. კიევი, ტრასეკას პროექტის - "EU TRACECA Civil Aviation II" ფარგლებში დაგეგმილ აკადემიური კურსი შრომის სამართალში.

7. სხვა აქტივობები

ანალიტიკური დეპარტამენტი ხელმძღვანელობს ანტიკორუფციული საბჭოს ფარგლებში შექმნილ სამუშაო ჯგუფსა და სისხლის სამართლის მართლმსაჯულების რეფორმის ფარგლებში შექმნილ არასრულწლოვანთა მართლმსაჯულებისა და სისხლის სამართლის კანონმდებლობის სამუშაო ჯგუფებს.

ანალიტიკური დეპარტამენტის თანამშრომლები მონაწილეობას იღებდნენ ქვეყნის შიგნით გამართულ სხვადასხვა ღონისძიებებში და აქტიურად იყვნენ ჩართულნი თემატური სამუშაო ჯგუფების შეხვედრებში (შრომის საერთაშორისო სტანდარტები, განრიდება, სისხლის სამართლის კანონმდებლობის რეფორმა, საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობა და სხვ.).

დეპარტამენტის მიერ მომზადდა მოხსენება პრემიერ-მინისტრისთვის, ასევე პრეზენტაციები იუსტიციის მინისტრისა და იუსტიციის მინისტრის მოადგილეებისათვის სხვადასხვა სტრატეგიული მნიშვნელობის საკითხებზე, მათ შორის, საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის შესახებ, ღია მმართველობის პარტნიორობის 2012-2013 წლების სამოქმედო გეგმის შესრულების შეფასებისა და სამომავლო ხედვის თაობაზე, ეკონომიკური

თანამშრომლობისა და განვითარებისა ორგანიზაციის შეფასების მესამე რაუნდის პრეზენტაციისა და 2012-2013 წლების ანტიკორუფციული სამოქმედო გეგმის შესრულების შეფასების შესახებ, საჯარო სამსახურის რეფორმის თაობაზე, საქართველოს მთავრობის ანტიკორუფციული პოლიტიკის თაობაზე ევროკავშირის ტექნიკური დახმარების პროექტის სამეთვალყურეო საბჭოს სხდომისათვის; სისხლის სამართლის კანონმდებლობის სამუშაო ჯგუფზე სისხლის სამართლის კოდექსის ზოგადი ნაწილის პრეზენტაციისთვის და სხვ.

დეპარტამენტის თანამშრომლებმა ჩაატარეს ტრენინგები შემდეგი მიმართულებით:

- შრომის სამართლის რეფორმა;
- ანტიკორუფციული საბჭოს ფუნქციები და საქმიანობის წესი.

8. სამომავლო გეგმები

ანალიტიკური დეპარტამენტის 2014 წლის პრიორიტეტული მიმართულებებია:

- სისხლის სამართლის კოდექსის გადასინჯვა;
- სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის ცვლილებების შემუშავება;
- არასრულწლოვანთა კოდექსის პროექტის შემუშავება;
- ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს ინსტიტუტის დახვეწა;
- სასამართლო გადაწყვეტილებათა საჯაროობის უზრუნველყოფა;
- აღკვეთის ღონისძიებების ალტერნატივების შემუშავება;
- სასჯელის ალტერნატიული მექანიზმების დანერგვის ხელშეწყობა;
- განრიდების მექანიზმის ფართო გამოყენებაში მონაწილეობა;
- პროკურორთა სახელმძღვანელო პრინციპების შემუშავება/განახლება;
- რეაბილიტაცია/რესოციალიზაციის პოლიტიკის ჩამოყალიბების ხელშეწყობა;
- სისხლის სამართლის სისტემის რეფორმის სტრატეგიის და სამოქმედო გეგმის განახლება;
- არასრულწლოვანთა დანაშაულის პრევენციის სამოქმედო გეგმის შემუშავების ხელშეწყობა;
- ანტიკორუფციული სამოქმედო გეგმის შემუშავება;
- კორუფციის წინააღმდეგ სახელმწიფოთა ჯგუფის, ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარებისა ორგანიზაციისა და გაეროს ნარკოტიკებისა და დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის ბიუროს რეკომენდაციების შესრულების ხელშეწყობა და მონიტორინგი;
- ანტიკორუფციული საბჭოს გაძლიერების მიზნით რეკომენდაციების შემუშავება;
- ღია მმართველობის პარტნიორობის სამოქმედო გეგმის იმპლემენტაციის კოორდინაცია;
- ღია მმართველობის პარტნიორობის 2014-2015 წლების სამოქმედო გეგმის შემუშავება და ღია მმართველობის პარტნიორობის სამდივნოსათვის წარდგენა;
- ინფორმაციის თავისუფლების აქტის შემუშავება;

- ფინანსური შეთანხმების/საბიუჯეტო პროგრამის შესრულების უზრუნველყოფა;
- შრომის კანონმდებლობის რეფორმა ქალთა უფლებების დაცვის კუთხით;
- შრომის კანონმდებლობის იმპლემენტაციის ხელშეწყობა;
- საერთაშორისო ორგანიზაციებთან თანამშრომლობა;
- დონორთა კოორდინაციის მექანიზმის შემუშავების ხელშეწყობა;
- მართლმსაჯულების/იუსტიციის სექტორში ევროკავშირის პროგრამაში მონაწილეობა;
- პრიორიტეტული საკითხების კვლევა და რეკომენდაციების მომზადება;
- სამინისტროს პრიორიტეტულ მიმართულებებზე საზოგადოებრივი აზრის კვლევა და ანალიზი;
- კვლევითი პრაქტიკის ჩატარება ანალიტიკურ დეპარტამენტში;
- სასამართლო გადაწყვეტილებების განზოგადების პროექტის განხორციელება;
- Data.gov.ge-ს იმპლემენტაციის ხელშეწყობა;
- E-democracy პროექტის ხელშეწყობა;
- პრიორიტეტულ მიმართულებებზე კონფერენციებისა და მრგვალი მაგიდების მოწყობა;
- ელექტრონული არქივის სისტემის შექმნის ხელშეწყობა.

დანართი

2013 წელს ანალიტიკური დეპარტამენტის მიერ განხორციელებული აქტივობები		
	აქტივობა	რაოდენობა
1.	კანონპროექტები	10
2.	პროგრამები/პროექტები	3
3.	სამართლებრივი და სოციოლოგიური კვლევები	25
4.	ანგარიშები	10
5.	საბჭოს სხდომები	3
6.	კონფერენციები/მრგვალი მაგიდები	11
3.	სამუშაო ჯგუფების შეხვედრები	23
4.	საერთაშორისო წარმომადგენლობა და ვიზიტები	20